

იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო

უნივერსიტეტი



იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ყველა საფეხურის სტუდენტთა სტატუსის მინიჭება, შეჩერება/შეწყვეტის, აღდგენისა და მობილობის წესით გადასვლის/გადმოსვლის/დაბრუნების შესახებ

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

განხილულია აკადემიური საბჭოს სხდომაზე:

ოქმი #.22 31.07.2014

დამტკიცებულია წარმომადგენლობით საბჭოზე:

ოქმი #18 31.07.2014

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ყველა საფეხურის სტუდენტთა სტატუსის მინიჭება, შეჩერება/შეწყვეტის, აღდგენისა და მობილობის წესით გადასვლის/გადმოსვლის/დაბრუნების შესახებ

თავი I

სტუდენტის სტატუსის მინიჭება/შეჩერება/შეწყვეტა/აღდგენა

მუხლი 1.

1. ბაკალავრიატისა და ერთსაფეხურიანი უმაღლესი განათლების სწავლების საფეხურზე საქართველოს მოქალაქეებისათვის სტუდენტის სტატუსის მინიჭების საფუძველია ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგები.

ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე სტუდენტის სტატუსის მინიჭება ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს/საჯარო სამართლის იურიდიული პირის – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის გადაწყვეტილებით და დასაშვებია:

1) აბიტურიენტებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება და სრული ზოგადი განათლების ბოლო 2 წელი ისწავლეს უცხო ქვეყანაში;

2) სტუდენტებისათვის, რომლებიც უცხო ქვეყანაში ცხოვრობდნენ ბოლო 2 ან მეტი წლის განმავლობაში და სწავლობენ უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

2. მაგისტრატურის სწავლების საფეხურზე საქართველოს მოქალაქეებისათვის სტუდენტის სტატუსის მინიჭების საფუძველია საერთო სამაგისტრო გამოცდის შედეგი და სპეციალობაში უნივერსიტეტის მიერ ადმინისტრირებული გამოცდის შედეგი, თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში მაგისტრატურაში მიღების წესის შესაბამისად.

საერთო სამაგისტრო გამოცდის გავლის გარეშე სტუდენტის სტატუსის მინიჭება ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გადაწყვეტილებით და დასაშვებია:

1) მაგისტრანტობის კანდიდატებისთვის, რომლებიც უცხო ქვეყანაში ცხოვრობდნენ ბოლო 2 ან მეტი წლის განმავლობაში და რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს შესაბამისი უმაღლესი განათლების აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტი;

2) მაგისტრანტობის კანდიდატებისთვის, რომლებიც უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩაირიცხნენ “უმაღლესი განათლების შესახებ” საქართველოს კანონის 52-ე მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილი ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მაგისტრატურაში.

3. დოქტორანტურის სწავლების საფეხურზე სტუდენტის სტატუსის მინიჭების საფუძველია ხელმძღვანელის წერილობითი თანხმობა და სპეციალობაში უნივერსიტეტის მიერ

ადმინისტრირებული გამოცდის შედეგი, თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში დოქტორანტურაში მიღების წესის შესაბამისად.

უცხო ქვეყნის მოქალაქის დოქტორანტურაში ჩარიცხვის აუცილებელი პირობაა უცხო ქვეყანაში მიღებული განათლების ნამდვილობის დადასტურების დოკუმენტი, გაცემული სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ.

4. პროფესიულ განათლების საგანმანათლებლო პროგრამებზე აპლიკანტის ჩარიცხვა ხორციელდება შესაბამისი ტესტირების ჩაბარების საფუძველზე, რომელიც განსაზღვრულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის N 152/ნ ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული ტესტირების ჩატარების“ შესახებ დებულებით და შესაბამისი მიმართულების პროფესიული სტანდარტის მიხედვით

5. დაწესებულების ხელმძღვანელი ტესტირების დაწყებამდე განსაზღვრავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პირველად და შემდგომ საფეხურზე ჩასარიცხად წარსადგენი დოკუმენტაციის ნუსხას და წარდგენის ვადებს.

6. დაწესებულების ხელმძღვანელი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის N 152/ნ ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული ტესტირების ჩატარების“ შესახებ დებულების 24-ე მუხლის პირველი და მე-6 პუნქტებით გათვალისწინებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემისა და ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტების წარდგენიდან 2 დღის ვადაში ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით რიცხავს აპლიკანტებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პირველად/შემდგომ საფეხურზე და აფორმებს ხელშეკრულებას აპლიკანტთან (ხოლო იმ შემთხვევაში თუ აპლიკანტი ქმედუუნაროა/შეზღუდულ ქმედუუნარიანია მის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან) აპლიკანტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პირველად/შემდგომ საფეხურზე ჩარიცხვის შესახებ.

7. ჩარიცხული პროფესიული სტუდენტების შესახებ მონაცემებს დაწესებულება ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ხელშეკრულების გაფორმებიდან 3 დღის ვადაში ასახავს საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრში.

მუხლი 2.

1. სტუდენტის ჩარიცხვის აუცილებელი წინაპირობაა ადმინისტრაციული რეგისტრაციის გავლა თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში დადგენილი წესის შესაბამისად.

2. სტუდენტთა სემესტრული რეგისტრაცია ხორციელდება ორ ეტაპად: ადმინისტრაციული – სწავლის საფასურის გადახდით და აკადემიური – სასწავლო კურსებზე დარეგისტრირებით.

მუხლი 3.

1. სტუდენტის სტატუსის შეჩერებად განიხილება უნივერსიტეტისა და სტუდენტის უფლება-მოვალეობების შესრულებისგან გათავისუფლება სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის გარეშე.

2. სტუდენტთა სტატუსის შეჩერების საფუძველია:

ა) პირადი განცხადება;

ბ) აკადემიური შვებულება;

გ) უცხო ქვეყანაში, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლა;

დ) ფინანსური დავალიანება;

ე) აკადემიური დავალიანება;

ვ) სამხედრო სამსახურში ყოფნა;

ზ) მის მიმართ სასამართლოს მიერ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლა.

3. სტუდენტს აკადემიურ შვებულებაში გასვლის უფლება აქვს ერთი სასწავლო წლით. დაუშვებელია აკადემიურ შვებულებაში გასვლა ზედიზედ ორჯერ.

4. აკადემიური შვებულება სტუდენტს შეიძლება მიეცეს:

- ავადმყოფობის გამო;
- ოჯახის ავადმყოფ წევრებზე მეურვეობის გამო;
- ორსულობის და ახალშობილის მოვლის გამო;
- სხვა საპატიო მიზეზით – სტუდენტის განცხადების საფუძველზე.

მუხლი 4.

1. სტუდენტის სტატუსის შეჩერებიდან 5 წლის შემდეგ პირს უწყდება სტუდენტის სტატუსი, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევისა.

2. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველია:

ა) საგანმანათლებლო პროგრამის დასრულება;

ბ) სტუდენტის სტატუსთან შეუთავსებელი ქმედების განხორციელება;

გ) გარდაცვალება;

დ) სტუდენტის სტატუსის შეჩერებიდან 5 წლის გასვლა;

ე) მობილობით სხვა უნივერსიტეტში გადასვლა.

მუხლი 5.

1. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ სამართლებრივი აქტით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგები დგება ბრძანების გამოცემიდან თორმეტი თვის შემდეგ. Dდროის ამ მონაკვეთში სტუდენტის სტატუსი ითვლება შეჩერებულად და სტუდენტი უფლებამოსილია ისარგებლოს მობილობის უფლებით.

2. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შემთხვევაში მისი ხელახალი მოპოვება დასაშვებია კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 6.

1. პირი, რომელსაც შეჩერებული აქვს სტუდენტის სტატუსი, არ განიხილება დაწესებულების სტუდენტების საერთო რაოდენობის ფარგლებში.

2. სტუდენტთა რაოდენობის აღრიცხვის მიზნით, უნივერსიტეტი ვალდებულია უზრუნველყოს საგანმანათლებლო დაწესებულებების, სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებლების რეესტრში სტუდენტის სტატუსის შეჩერების რეგისტრაცია.

მუხლი 7.

1. სტუდენტის სტატუსის აღდგენა იმ დაწესებულებაში, სადაც პირს შეუჩერდა სტუდენტის სტატუსი, დასაშვებია სტუდენტთა საერთო რაოდენობის ფარგლების გადაჭარბებით. ამ შემთხვევაში სტუდენტების საერთო რაოდენობის ზევით ჩარიცხული პირების რაოდენობა გამოაკლდება მომდევნო სასწავლო წლისათვის დაწესებულების მიერ დადგენილ სტუდენტთა მისაღები ადგილების რაოდენობას.

მუხლი 8.

1. სტუდენტები, რომელთა დაწესებულებები ლიკვიდირებულ იქნა უფლებამონაცვლის განსაზღვრის გარეშე, მიიჩნევიან სტუდენტის სტატუსშეჩერებულ პირებად.

მუხლი 9.

1. 2000 წლის 5 თებერვლიდან 2010 წლის 5 თებერვლამდე გარიცხული/ამორიცხული სტუდენტი განიხილება სტუდენტის სტატუსის შეჩერებულ პირად გარიცხვის/ამორიცხვის შესახებ ბრძანების გამოცემიდან 10 წლის განმავლობაში და ამ ვადაში უფლებამოსილია მიმართოს საგანმანათლებლო დაწესებულებას სტუდენტის სტატუსის აღდგენის თაობაზე ან ისარგებლოს მობილობის უფლებით.

2. პირი, რომელსაც გავლილი საგანმანათლებლო პროგრამის ნაწილი კანონმდებლობით დადგენილი წესით სახელმწიფოს მიერ აღიარებულად ეთვლება, ასევე განიხილება სტუდენტის სტატუსის შეჩერებულ პირად სახელმწიფოს მიერ აღიარებულ რეჟიმში სწავლის შეწყვეტიდან 10 წლის განმავლობაში.

თავი II

სტუდენტის სტატუსის მოპოვების/აღდგენის წესი

მუხლი 10.

1. სტუდენტის სტატუსის მოპოვების მსურველი პირის უნივერსიტეტში ჩარიცხვა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად უნივერსიტეტის რექტორის ბრძანების საფუძველზე.

2. სტუდენტის სტატუსის მოპოვების მსურველი პირი აფორმებს ხელშეკრულებას უნივერსიტეტში დადგენილი წესის მიხედვით. პირი ვალდებულია უნივერსიტეტში წარმოადგინოს:

ა) განცხადება რექტორის სახელზე;

ბ) პირადობის მოწმობის ასლი;

გ) ატესტატი (დედანი) და/ან სწავლების წინა საფეხურის გავლის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

დ) ერთიანი ეროვნული გამოცდის/გამოცდების შედეგად ჩარიცხულმა პირმა ჩარიცხვის სერთიფიკატი;

ე) ორი ფოტოსურათი (ფერადი 3X4);

ვ) სამხედრო მიწერის მოწმობა ან სამხედრო ბილეთი (ვაჟებისთვის);

ზ) ხელმძღვანელის წერილობითი თანხმობა (დოქტორანტებისთვის);

თ) 50 ლარის ოდენობით მომსახურების საფასურის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი (უნივერსიტეტის მიერ ადმინისტრირებული მისაღები გამოცდის/გასაუბრების ჩაბარების შემთხვევაში).

მუხლი 11.

1. სტუდენტის სტატუსის აღდგენის მსურველი პირი აფორმებს ხელშეკრულებას უნივერსიტეტში დადგენილი წესის შესაბამისად.

2. სტუდენტის სტატუსშეწყვეტილი პირის სტატუსის აღდგენა ხორციელდება არაუმეტეს ორჯერ სასწავლო სემესტრის დაწყებამდე, რის შესახებაც გამოიცემა რექტორის ერთიანი ბრძანება 1 ოქტომბრამდე შემოდგომის ან 1 მარტამდე გაზაფხულის სემესტრში, რომლის საფუძველია:

- ა) სტუდენტის სტატუსის აღდგენის მსურველი პირის განცხადება;
- ბ) პირადი საქმე;
- გ) სტუდენტის სასწავლო ბარათი/ამონაწერი სასწავლო ბარათიდან;
- დ) ფაკულტეტის დეკანის დასკვნა;
- ე) სწავლის საფასურის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი (წლიური გადასახადის არანაკლებ მეოთხედი).

3. სტუდენტის სტატუსშეჩერებული პირის სტატუსის აღდგენა ხორციელდება სასწავლო წლის განმავლობაში სტუდენტის აკადემიურ პროცესში ჩართვის შესაძლებლობის გათვალისწინებით. სტუდენტის სტატუსშეჩერებული პირის სტატუსის აღდგენის საფუძველია:

- ა) სტუდენტის სტატუსის აღდგენის მსურველი პირის განცხადება;
- ბ) პირადი საქმე;
- გ) სტუდენტის სასწავლო ბარათი/ამონაწერი სასწავლო ბარათიდან;
- დ) ფაკულტეტის დეკანის დასკვნა.

4. ფაკულტეტზე იქმნება კომისია, რომლის შემადგენლობაშიც შედიან ფაკულტეტის დეკანი, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი და შესაბამისი პროგრამის ხელმძღვანელი. კომისია შეიმუშავებს დასკვნა-შუამდგომლობას, რომელსაც ფაკულტეტის დეკანი წარუდგენს უნივერსიტეტის რექტორს.

5. დასკვნა-შუამდგომლობაში მკაფიოდ უნდა აისახოს, თუ რომელი სასწავლო კურსები ჩაეთვალა სტუდენტს ათვისებულად მოცემული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმის მიხედვით (შესაბამისი კრედიტებისა და შეფასებების მითითებით) და რომელი სემესტრიდან შეიძლება დაიშვას იგი სწავლის გასაგრძელებლად. დასკვნაში აუცილებელია მიეთითოს სტუდენტის მიერ ათვისებული კრედიტების საერთო რაოდენობა, პროგრამის დასრულებისათვის დარჩენილი კრედიტების რაოდენობა, ხოლო საჭიროების შემთხვევაში სტუდენტის სწავლის ინდივიდუალური გრაფიკი.

6. ფაკულტეტის დეკანისა და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის დასკვნის/წარდგინების საფუძველზე გამოიცემა რექტორის ბრძანება სტუდენტის სტატუსის აღდგენის შესახებ.

მუხლი 12.

1. სტატუს შეჩერებული/შეწყვეტილი პირი სტუდენტის სტატუსის აღდგენის შემთხვევაში იხდის სამიზნე ჯგუფში დაწესებულ სწავლის საფასურს უნივერსიტეტში დადგენილი წესის შესაბამისად, გარდა აკადემიური შვებულების საფუძველით სტატუსშეჩერებული პირისა, რომელიც აკადემიური შვებულებიდან დროულად დაბრუნების შემთხვევაში იხდის აკადემიურ შვებულებაში გასვლამდე დაწესებულ სწავლის გადასახადს.

2. სტატუს შეჩერებული/შეწყვეტილი პირი სტუდენტის სტატუსის აღდგენის შემთხვევაში სწავლის საფასურს იხდის იმ სემესტრიდან, რომლიდანაც აგრძელებს სწავლას.

3. დაუშვებელია სტუდენტმა გადაიხადოს შესაბამისი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სემესტრების რაოდენობაზე ნაკლები სემესტრების საფასური.

მუხლი 13.

1. სტუდენტის სტატუსის აღდგენის მსურველმა პირმა დადგენილ ვადაში უნდა წარმოადგინოს:

- ა) განცხადება რექტორის სახელზე;

- ბ) უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სტუდენტის ჩარიცხვის ბრძანების ასლი;
- გ) უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სტუდენტის სტატუსის შეჩერების/შეწყვეტის ბრძანების ასლი;
- დ) სტუდენტის სასწავლო ბარათი/ამონაწერი სასწავლო ბარათიდან, რომელშიც მითითებულია სტუდენტის მიერ გავლილი საგნების მოცულობა კრედიტებში და მიღებული შეფასებები (ამონაწერი დამოწმებული უნდა იყოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ბეჭდითა და ხელმოწერით);
- ე) პირადობის მოწმობის ასლი;
- ვ) ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად ჩარიცხულმა პირმა ჩარიცხვის სერთიფიკატი;
- ზ) ატესტატი და/ან სწავლების წინა საფეხურის გავლის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
- თ) ორი ფოტოსურათი (ფერადი 3X4);
- ი) ხელმძღვანელის წერილობითი თანხმობა (დოქტორანტებისთვის);
- კ) 50 ლარის ოდენობით მომსახურების საფასურის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი.

თავი III

სტუდენტის მობილობით ჩარიცხვის/შიდა გადასვლის წესი

მუხლი 14. მობილობით ჩარიცხვის უფლების მოპოვება

1. სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან გადმოსვლის მსურველი პირის ჩარიცხვა ხორციელდება არაუმეტეს ორჯერ სასწავლო სემესტრის დაწყებამდე, რის შესახებაც გამოიცემა რექტორის ბრძანება სტუდენტის ჩარიცხვის შესახებ 1 ოქტომბრამდე შემოდგომის ან 1 მარტამდე გაზაფხულის სემესტრში, რომლის საფუძველია:

- ა) განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის რეესტრისა და პორტალის მონაცემები სტუდენტის მობილობის უფლების შესახებ;
- ბ) მობილობის მსურველი პირის განცხადება ჩარიცხვის თაობაზე;
- გ) ფაკულტეტის დეკანის დასკვნა;
- დ) განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დადებითი დასკვნა.

2. უნივერსიტეტის შიგნით მობილობის მსურველი პირის სპეციალობის შეცვლა ხორციელდება არაუმეტეს ორჯერ სასწავლო სემესტრის დაწყებამდე, რის შესახებაც გამოიცემა რექტორის ბრძანება სტუდენტის სპეციალობის შეცვლის შესახებ 1 ოქტომბრამდე შემოდგომის ან 1 მარტამდე გაზაფხულის სემესტრში, რომლის საფუძველია:

- ა) მობილობის მსურველი პირის განცხადება სპეციალობის შეცვლის თაობაზე;
- ბ) სტუდენტის სასწავლო ბარათი;
- გ) ფაკულტეტის დეკანის დასკვნა.

3. ფაკულტეტზე იქმნება კომისია, რომლის შემადგენლობაშიც შედიან ფაკულტეტის დეკანი, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი და შესაბამისი პროგრამის ხელმძღვანელი. კომისია შეიმუშავებს დასკვნა-შუამდგომლობას, რომელსაც ფაკულტეტის დეკანი წარუდგენს უნივერსიტეტის რექტორს.

- კომისიის მუშაობის ფარგლებში ფუნქციები ნაწილდება შემდეგნაირად:

ა) პროგრამის ხელმძღვანელი ადგენს კრედიტების შესაბამისობას, გამოყოფს განსხვავებულ საგნებს, აჯამებს კრედიტების რაოდენობას, გაწერს ინდივიდუალურ სასწავლო გრაფიკს საჭიროების შემთხვევაში და აწერს ხელს.

ბ) ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი დასკვნას აჯამებს კანონმდებლობით გათვალისწინებული ნორმატიული აქტებით და უზრუნველყოფს მის იურიდიულ და აზრობრივ გამართულობას, რასაც ადასტურებს ხელმოწერით.

გ) დეკანი აკონტროლებს დასკვნის სიზუსტეს და ამოწმებს ბეჭდით და ხელმოწერით.

4. დასკვნა-შუამდგომლობაში მკაფიოდ უნდა აისახოს, თუ რომელი სასწავლო კურსები ჩაეთვალა სტუდენტს ათვისებულად მოცემული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმის მიხედვით (შესაბამისი კრედიტებისა და შეფასებების მითითებით) და რომელი სემესტრიდან შეიძლება დაიშვას იგი სწავლის გასაგრძელებლად. დასკვნაში აუცილებელია მიეთითოს სტუდენტის მიერ ათვისებული კრედიტების საერთო რაოდენობა, პროგრამის დასრულებისათვის დარჩენილი კრედიტების რაოდენობა, ხოლო საჭიროების შემთხვევაში სტუდენტის სწავლის ინდივიდუალური გრაფიკი.

5. ფაკულტეტის დეკანისა და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის დასკვნის/წარდგინების საფუძველზე გამოიცემა რექტორის ბრძანება სტუდენტის მობილობის წესით ჩარიცხვის/სპეციალობის შეცვლის შესახებ.

მუხლი 15.

1. მობილობის წესით ჩარიცხვის/სპეციალობის შეცვლის მსურველი პირი აფორმებს ხელშეკრულებას უნივერსიტეტში დადგენილი წესის შესაბამისად.

2. მობილობის წესით ჩარიცხვის/სპეციალობის შეცვლის შემთხვევაში პირი იხდის სამიზნე ჯგუფში დაწესებულ სწავლის საფასურს.

მუხლი 16.

1. მობილობის წესით გადმომსვლელმა პირმა დადგენილ ვადაში უნდა წარმოადგინოს:

ა) განცხადება რექტორის სახელზე;

ბ) უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სტუდენტის ჩარიცხვის ბრძანების ასლი;

გ) ამონაწერი სტუდენტის სასწავლო ბარათიდან, რომელშიც მითითებულია სტუდენტის მიერ გავლილი საგნების მოცულობა კრედიტებში და მიღებული შეფასებები (ამონაწერი დამოწმებული უნდა იყოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ბეჭდითა და ხელმოწერით);

დ) პირადობის მოწმობის ასლი;

ე) ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად ჩარიცხულმა პირმა ჩარიცხვის სერთიფიკატი;

ვ) ატესტატი და/ან სწავლების წინა საფეხურის გავლის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

ზ) ორი ფოტოსურათი (ფერადი 3X4);

თ) ხელმძღვანელის წერილობითი თანხმობა (დოქტორანტებისთვის);

ი) 50 ლარის ოდენობით მომსახურების საფასურის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი;

კ) უმაღლესი დაწესებულებიდან გარიცხულმა პირებმა სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის ბრძანების ასლი.

2. მობილობის წესით სპეციალობის შეცვლის მსურველმა პირმა დადგენილ ვადაში უნდა წარმოადგინოს:

ა) განცხადება რექტორის სახელზე;

ბ) სტუდენტის სასწავლო ბარათი, რომელშიც მითითებულია სტუდენტის მიერ გავლილი საგნების მოცულობა კრედიტებში და მიღებული შეფასებები (ამონაწერი დამოწმებული უნდა იყოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ბეჭდითა და ხელმოწერით);

- გ) ხელმძღვანელის წერილობითი თანხმობა (დოქტორანტებისთვის);
- დ) ამონაწერი საფინანსო სამსახურიდან სტუდენტის ფინანსური დავალიანების არ ქონის შესახებ;
- ე) 50 ლარის ოდენობით მომსახურების საფასურის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი.

მუხლი 17

1. ერთიანი ეროვნული/საერთო სამაგისტრო გამოცდების გარეშე საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხული სტუდენტების მიერ მობილობის უფლების მოპოვება ხორციელდება ამ დებულებით განსაზღვრული წინაპირობების დაცვით. ამ პირების ჩარიცხვა დასაშვებია მობილობისათვის დარეგისტრირებული ადგილების გადაჭარბებით. ამ შემთხვევაში სტუდენტების საერთო რაოდენობის ზევით ჩარიცხული პირების რაოდენობა გამოაკლდება მომდევნო სასწავლო წლისათვის უნივერსიტეტის მიერ დადგენილ სტუდენტთა მისაღები ადგილების რაოდენობას.

თავი IV

სტუდენტის სტატუსის აღდგენისა და მობილობის უფლების შეზღუდვა

მუხლი 18.

1. მობილობა შესაძლებელია განხორციელდეს უმაღლესი განათლების ერთი საფეხურის ფარგლებში. ამ პუნქტის მიზნებისათვის დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის/ვეტერინარის საგანმანათლებლო პროგრამები განიხილება აკადემიური უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამასთან თავსებადად. დაუშვებელია მობილობა პროფესიული უმაღლესი განათლების პროგრამიდან ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამაზე.

მუხლი 19.

1. მობილობის უფლება სტუდენტს წარმოეშობა უმაღლესი განათლების შესაბამის საფეხურზე სწავლების ერთი წლის შემდეგ. სწავლების პერიოდში არ შედის ის დრო, რომლის განმავლობაშიც პირს შეჩერებული ჰქონდა სტუდენტის სტატუსი. თუ დაწესებულება ლიკვიდირებულ იქნა უფლებამონაცვლის განსაზღვრის გარეშე, დაწესებულებამ დაკარგა ავტორიზაცია ან დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამა აღარ ხორციელდება, სტუდენტს მობილობის უფლება წარმოეშობა სწავლის პერიოდის ხანგრძლივობის მიუხედავად.

თავი V

სტუდენტის დროებითი მობილობა

მუხლი 20.

1. საზღვარგარეთის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში მობილობით წასვლის წინ სტუდენტი ვალდებულია შეიჩეროს სტუდენტის სტატუსი. ხოლო დაბრუნების შემდეგ სტუდენტი ვალდებულია უცხოეთიდან ჩამოტანილი კრედიტების აღიარების მიზნით მიმართოს საქართველოს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს.

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ აღიარებული კრედიტების უნივერსიტეტში წარდგენამდე უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით პირობით უღიარდება საზღვარგარეთიდან ჩამოტანილი კრედიტები და პირობით აღუდგება სტუდენტის სტატუსი.

2. საზღვარგარეთის სასწავლო და სამეცნიერო ცენტრებთან უნივერსიტეტის თანამშრომლობის პროგრამების შესაბამისად, უცხოეთში მივლინებიდან დაბრუნებულმა სტუდენტმა უნივერსიტეტში სწავლის გაგრძელების მიზნით სათანადო განცხადებასთან ერთად ფაკულტეტის დეკანს უნდა წარუდგინოს უცხოეთში გავლილი სასწავლო კურსების დასახელების, მოცულობის, კრედიტების და მიღებული შეფასებების დამადასტურებელი საბუთები.
3. ფაკულტეტზე იქმნება კომისია, რომლის შემადგენლობაშიც შედიან ფაკულტეტის დეკანი, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი და შესაბამისი პროგრამის ხელმძღვანელი. კომისია შეიმუშავებს დასკვნა-შუამდგომლობას, რომელსაც ფაკულტეტის დეკანი წარუდგენს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს.
4. დასკვნა-შუამდგომლობაში მკაფიოდ უნდა აისახოს, თუ რომელი სასწავლო კურსები ჩაეთვალია სტუდენტს ათვისებულად მოცემული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმის მიხედვით (შესაბამისი კრედიტებისა და შეფასებების მითითებით) და რომელი სემესტრიდან შეიძლება დაიშვას იგი სწავლის გასაგრძელებლად. დასკვნაში აუცილებელია მიეთითოს სტუდენტის მიერ ათვისებული კრედიტების საერთო რაოდენობა, პროგრამის დასრულებისათვის დარჩენილი კრედიტების რაოდენობა, ხოლო საჭიროების შემთხვევაში სტუდენტის სწავლის ინდივიდუალური გრაფიკი.
5. ფაკულტეტის დეკანის მიერ წარმოდგენილი დასკვნის საფუძველზე, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური შეიმუშავებს წარდგინებას რექტორის სახელზე, რის შემდეგაც გამოიცემა რექტორის ბრძანება სტუდენტის სტატუსის აღდგენის შესახებ.

მუხლი 21.

1. მოზილობის წესით სხვა უნივერსიტეტში სასწავლებლად უნივერსიტეტის მიერ გაგზავნილი სტუდენტი უნივერსიტეტში დროულად დაბრუნების შემდეგ სწავლის გაგრძელებისას იხდის მის მიერ უნივერსიტეტში ჩარიცხვისას ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სწავლის საფასურს.
2. საზღვარგარეთ ინდივიდუალური წესით სასწავლებლად გამგზავრებიდან დაბრუნებული სტუდენტი იხდის სამიზნე ჯგუფში დაწესებულ სწავლის საფასურს.

მუხლი 22.

1. საზღვარგარეთ ინდივიდუალური წესით სასწავლებლად გამგზავრების მსურველ სტუდენტს შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ შეუჩერდება სტუდენტის სტატუსი არაუმეტეს 5 წლით.

თავი VI

საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისობა და სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარება

მუხლი 23.

1. უნივერსიტეტი ადგენს მის მიერ შეთავაზებულ საგანმანათლებლო პროგრამებთან ჩარიცხვის მსურველი პირის მიერ სხვა საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღწეული სწავლის

შედეგების თავსებადობას და იღებს გადაწყვეტილებას შესაბამისი კრედიტების აღიარების შესახებ.

2. აღიარებას ექვემდებარება დაწესებულების იმ პროგრამის ფარგლებში მიღებული კრედიტები, რომელზე ჩარიცხვა და სწავლება განხორციელდა კანონმდებლობით დადგენილი წესით.

3. შინაარსობრივი შესწავლის შედეგად შესაძლებელია დადგინდეს სტუდენტის მიერ გავლილი და მისთვის შეთავაზებული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსების შესაბამისობა, მათ სახელწოდებებში არსებული განსხვავების მიუხედავად. ამ შემთხვევაში სტუდენტის სასწავლო ბარათში მიეთითება იმ სასწავლო კურსის სახელწოდება, რომელიც შეესაბამება მისთვის შეთავაზებულ საგანმანათლებლო პროგრამას, შესაბამისი სასწავლო კურსით ათვისებული კრედიტების რაოდენობით.

4. ბაკალავრიატში დასაშვებია სასწავლო კურსების აღიარება:

ა) ერთი ძირითადი სპეციალობის, ერთი დამატებითი სპეციალობის და თავისუფალი კრედიტების ფარგლებში;

ბ) ერთი ძირითადი სპეციალობის და ორი დამატებითი სპეციალობის ფარგლებში;

გ) ერთი ძირითადი სპეციალობის და თავისუფალი კრედიტების ფარგლებში.

5. დასაშვებია იმ სასწავლო კურსის აღიარება, რომელიც არ არის გათვალისწინებული საგანმანათლებლო პროგრამით.

6. უნივერსიტეტი უფლებამოსილია, კანონმდებლობით დადგენილი წესით გაიანგარიშოს სტუდენტის დატვირთვა კრედიტებით იმ საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში, რომელიც არ არის შესრულებული ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის შესაბამისად.

მუხლი 24.

1. უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის კრედიტები, რომელთა საფუძველზეც განხორციელდა კვალიფიკაციის მინიჭება, არ შეიძლება აღიარებულ იქნეს სხვა საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებისათვის, გარდა დიპლომირებული სპეციალისტის საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღებული კრედიტების ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებისთვის აღიარებისა.

2. უნივერსიტეტი უფლებამოსილია, გასაუბრების ან გამოცდის საფუძველზე დაადგინოს პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველი პირის ცოდნისა და უნარების საგანმანათლებლო პროგრამასთან თავსებადობა. ამ თავსებადობის არარსებობა პირის მობილობით ჩარიცხვაზე უარის თქმის საფუძველია.

3. სტუდენტის მიღება საგანმანათლებლო პროგრამაზე ხორციელდება იმ შემთხვევაში, თუ დარჩენილ სემესტრებში ასათვისებელი კრედიტების რაოდენობა წლიური გაანგარიშებით არ აღემატება 75 კრედიტს.

თავი VII

სტუდენტის ინდივიდუალური გრაფიკი

მუხლი 25.

1. სტუდენტის სტატუსის აღდგენისა და მობილობის წესით საგანმანათლებლო პროგრამაზე გადმომსვლელ სტუდენტთათვის საჭიროების შემთხვევაში დგება ინდივიდუალური სასწავლო გრაფიკი.

2. ერთ წელში სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული საგნების კრედიტების რაოდენობა ჯამში არ უნდა აღემატებოდეს 75-ს.

3. ინტენსიური კურსის გავლა სტუდენტს მოუწევს წინასწარ განსაზღვრულ პერიოდში.

4 ინტენსიური სასწავლო კურსების ცხრილს განსაზღვრავს შესაბამისი ფაკულტეტის დეკანატი ლექტორთან და საგამოცდო ცენტრთან შეთანხმებით.

5.ინტენსიური კურსით გათვალისწინებულ კონსულტაციებს და შეფასებებს ახორციელებს საგნის ლექტორი, ლექტორის მხრიდან არგუმენტირებული უარის შემთხვევაში, დავალიანებული სასწავლო კურსის ჩატარებას უზრუნველყოფს შესაბამისი დეპარტამენტი.

6. აკადემიურ დავალიანებაში მყოფი სტუდენტი სემესტრის დასრულების შემდეგ რეგისტრირდება ინტენსიურ კურსზე, შესაბამის ფაკულტეტზე. მომდევნო სემესტრის დაწყებამდე, სილაბუსით გათვალისწინებული მასალის შესასწავლად სტუდენტს ჩაუტარდება საგნის სილაბუსით გათვალისწინებული საკონტაქტო საათები. კურსს გაუძღვება შესაბამისი მიმართულების, დოქტორის ხარისხის მქონე პედაგოგი. გარდა ამისა, 4 საათი დაეთმობა შუალედურ და დასკვნით გამოცდებს. შუალედური და დასკვნითი გამოცდების ჩატარების უზრუნველყოფას ახდენს საგამოცდო ცენტრი.

მუხლი 26.

1. სტუდენტის ცოდნის შეფასება ინტენსიური სალექციო კურსის შედეგად ხდება სილაბუსით გათვალისწინებული კრიტერიუმების საფუძველზე.

2. სტუდენტის ცოდნის შეფასება ინტენსიურ საგანში განისაზღვრება შემდეგი აუცილებელი კომპონენტების გათვალისწინებით: შუალედური შეფასებები და დასკვნითი გამოცდა.

ამ კომპონენტების ქულათა ჯამი უნდა შეადგენდეს მაქსიმუმ 100 ქულას. მათი თანაფარდობა განისაზღვრება შემდეგი მოთხოვნების დაცვით:

1) შუალედური შეფასებები – მაქსიმუმ 60 ქულა, მათ შორის:

- 1 შუალედური გამოცდა – მაქსიმუმ 30 ქულა;
- 1 წერიტი და/ან ზეპირი საშინაო დავალება – მაქსიმუმ 30 ქულა;

2) დასკვნითი გამოცდა – მაქსიმუმ 40 ქულა.

3. დასკვნითი გამოცდა ჩატარდება წერიტი ფორმით, ხოლო შედეგი გამოცხადდება სამ სამუშაო დღეში. გამოცდის შედეგი გამოცხადებისთანავე დაფიქსირდება უწყისში, რომელიც გადაეცემა ფაკულტეტის დეკანს.

4. სტუდენტს უფლება აქვს ნიშნის გამოცხადების დღესვე გააპროტესტოს დასკვნით გამოცდაში მიღებული ქულა ფაკულტეტის დეკანის სახელზე დაწერილი განცხადებით. ფაკულტეტზე შექმნილი სააპელაციო კომისია, რომლის შემადგენლობაშიც შევლენ საგნის ლექტორი, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი და შესაბამისი დარგის რამდენიმე წარმომადგენელი, განიხილავს სტუდენტის მიერ მიღებული შეფასების ობიექტურობას. კომისიას უფლება აქვს გააუქმოს ნიშანი და თავიდან შეაფასოს იგი ხმათა უმრავლესობით, რისთვისაც შედგება შესაბამისი ოქმი, რომელიც დაერთვება უწყისს.

5. თუ საგამოცდო შედეგების მიხედვით სტუდენტის მიერ ინტენსიურ საგანში მიღებული ჯამური ქულა 51 ქულაზე ნაკლებია, მას არ ენიჭება კრედიტი ამ საგანში და ანაზღაურებს ამ დავალიანებას საკუთარი ხარჯით.

თავი VIII
სტუდენტის მიერ მობილობით კრედიტების მიღება

მუხლი 27.

1. საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის, არფუნქციონირების ან გაუქმების შემთხვევაში დაწესებულება იღებს ვალდებულებას შესაბამის პროგრამაზე დარჩენილი სტუდენტები უზრუნველყოს შემდგომი განათლებით.

2. იმ შემთხვევაში, თუ შესაძლებელი არ იქნება საგანმანათლებლო პროგრამის ალტერნატიული პროგრამის შეთავაზება უნივერსიტეტის ბაზაზე, სტუდენტს საგანმანათლებლო პროგრამაზე დარჩენილი კრედიტების ასათვისებლად ეძლევა შესაძლებლობა გაიაროს დარჩენილი სასწავლო კურსები საქართველოს იმ უმაღლეს სასწავლებელში, რომელთანაც დაწესებულებას გაფორმებული აქვს თანამშრომლობის მემორანდუმი და რომელშიც ხორციელდება შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამა.

უნივერსიტეტის რექტორი

ავთანდილ ღელაღუტაშვილი